

სატყეო ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა ბიომასის მდგრადი გამოყენებით

პოლიტიკის დოკუმენტი



2016

სატყეო ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა ბიომასის მდგრადი გამოყენებით

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: მურმან მარგველაშვილი, რევაზ გეთიაშვილი

რეზიუმე

ორგანიზაცია „მსოფილო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) ერთობლივად მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი იძლევა რეკომენდაციებს იმ სახელმწიფო ღონისძიებების შესახებ, რამაც საბოლოოდ უნდა მოიტანოს ტყის რესურსების გადამეტებული ენერგეტიკული გამოყენებით გამოწვეული ეკოლოგიური და ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა. პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს სხვადასხვა სამინისტროების და უწყებების ძალისხმევას კოორდინაციას ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში: ენერგეტიკული, გარემოს დაცვის, ნარჩენების მართვის და რეგიონული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გატარებას, რასაც უნდა მოჰყვეს საცხოვრებელი გარემოს, ენერგეტიკული და ეკონომიკური უსაფრთხოების, ტექნოლოგიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, ასევე საჯარო სამსახურების პროფესიული და ინსტიტუციური განვითარება. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირთან ასოცირების მოთხოვნების შესრულების მიმართულებით.

არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

შემის მოხმარება საქართველოში ენერგეტიკული მოთხოვნილების 10-12%-ს აკმაყოფილებს. იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი ადგილობრივი მიწოდების 40%-ს შეადგენს, შემა, ჰიდროენერჯისთან ერთად, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია. შემა მოიხმარება სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ, ძირითადად გასათბობად, ასევე ცხელი წყლისთვის და საჭმლის მოსამზადებლად.

ტყის მართვის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით, შეშის წლიური მოხმარება რამდენჯერმე აღემატება შეშის იმ მოცულობას, რომლის გამოყოფაც ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ არის შესაძლებელი.

ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, 2014 წელს საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ შეშის მოხმარებამ შეადგინა 2 432 8 000 მ³. 2013 წელს იგივე მაჩვენებელი იყო 2 500 000 მ³. ეროვნული სატყეო სააგენტო კი წლიურად 600 000 მ³ სამეშე რესურსს გამოყოფს, რაც საერთო მოთხოვნის მხოლოდ 25%-ს წარმოადგენს. დარჩენილი ნაწილი მოიპოვება არალეგალურად. უკანონოდ მოპოვება კი ხდება უფრო ადვილად მისაღწეად ადგილებში, რომლებიც ამ გზით მეთოდურად ნადგურდება.

მნიშვნელოვანი რაოდენობის შემა გამოიყენება საჯარო და კერძო სექტორში – სასტუმროებში, რესტორნებში და პურის საცხობებში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ეს ციფრი წელიწადში 42 000 მ³-ს აღწევს, თუმცა კერძო სექტორის მიერ მოხმარებული შეშის აბსოლუტური უმეტესობა უკანონოა, რის გამოც მოხმარების ზუსტი რაოდენობის გამოთვლა არ ხერხდება. რაც შეეხება საბიუჯეტო სექტორს, ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის საბიუჯეტო

ორგანიზაციები 7,000–8,000 მ³ შეშას მოიხმარენ; ასევე, მხოლოდ ბაკურიანის სასტუმროებში 1,500 მ³ შეშა იწევა. მსგავს მაგალითებზე დაყრდნობით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საჯარო და კერძო სექტორების მიერ მოხმარებული შეშის მოცულობა 500,000 მ³-ს აჭარბებს.

სახელმწიფოს მიერ ხდება სოფლების ინტენსიური გაზიფიცირება. 2013-2014 წლებში გაზი მიეწოდა 109 819 ოჯახს. 2015-2016 წლებში გაზიფიკაციის პროცესი აქტიურად გრძელდება. ამ მიზნით ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო 20 მილიონი ლარი 2015 წელს და 2016 წლის ბიუჯეტში გაზიფიკაციისთვის გათვალისწინებული თანხებიდან 8 თვის მონაცემებით უკვე ათვისებულია 8 მილიონი ლარი¹.

რეგიონების გაზიფიცირება მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს შეშის მოხმარებას, ვინაიდან მოსახლეობა მაინც ვერ ახერხებს გაზის სრულფასოვნად გამოყენებას გათბობისათვის და ის უმეტესად გამოიყენება საჭმლის მომზადების და ცხელი წყლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გაზის გამოყენება გათბობისთვის შეშასთან შედარებით გაცილებით ძვირია ვინაიდან: ა) სახელმწიფო აფინანსებს გაზის გამანაწილებელი ქსელის გაფართოებას, თუმცა ქსელის მიერთების საფასურს იხდის მომხმარებელი; ბ) გაზის გამათბობლის შექმნა და დამონტაჟება დამატებით ხარჯებს მოითხოვს გ) ბუნებრივი გაზის ახალი (2011 წლის შემდეგ მიერთებული) მომხმარებლები დერეგულირებულნი არიან, ანუ მათ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია (სემეკ) ტარიფს არ უდგენს და გამანაწილებელ კომპანიას შეუძლია, ტარიფი დაუწესოს თავისი შეხედულებით.

გაზის დისტრიბუტორი კომპანიებიდან მიღებული ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით არსებული 269 117 აქტიური აბონენტიდან (კვლევაში არ შედის თბილისის, რუსთავისა და აჭარის მოსახლეობა) 144 255-ს ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარება ზამთარში 30 ლარზე ნაკლები უჯდება. აღნიშნული გარემოება ნათლად მიუთითებს, რომ აბონენტების 53% სათბობად გაზს საერთოდ არ იყენებს. ამას ემატება აბონენტების კიდევ 10-15%, რომელიც გაზით მხოლოდ ნაწილობრივ თბება².

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში შეშის დამზადება ხდება არარაციონალურად (მოჭრილი მერქნის 35-40% რჩება ადგილზე), მოხმარება კი – უკიდურესად არაეფექტურად, დაბალი ეფექტიანობის ჯანმრთელობისათვის მავნე ღუმელების საშუალებით, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს კვლევის მიხედვით,³ საქართველო ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ამის ძირითად მიზეზად კი კვლევა მოსახლეობის მიერ მყარი სათბობის/შეშის გამოყენებას ასახელებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ასევე იძლევა იმ დაავადებების ჩამონათვალს, რაც დაკავშირებულია შეშის მოხმარებასთან და გამონაბოლქვთან.

¹ <http://treasury.ge/5569> სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება

² CENN, IUCN, 2016 ENP FLEG 2

³ <http://www.iea.org/publications/freepublications/publication/weo-2016-special-report-energy-and-air-pollution.html>

არაეფექტურობის მაჩვენებელია ისიც, რომ ძირითადად ხდება ახალმოჭრილი სველი (და, ამდენად, ნაკლები თბოუნარიანობის) შეშის მოხმარება, რასაც მოსახლეობა იმით ამართლებს, რომ ასეთი შეშა მეტი ხნის განმავლობაში იწვის. ამასთან, საცხოვრებლების სითბური ეფექტიანობა, როგორც წესი, ძალიან დაბალია და არაეფექტური წვის შედეგად მიღებული სითბოც კი დიდი რაოდენობით გარემოში განიბნევა არაიზოლირებული კარ-ფანჯრებიდან და დაუთბუნებელი კედლებიდან. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავიანთი საცხოვრებლის მხოლოდ მცირე ნაწილის გათბობას ახერხებს და კომფორტის დონეც საკმაოდ დაბალია.

შეშის ფასი დაახლოებით 60-100 ლარია/მ³-ზე; შესაბამისად, უკანონო შეშის მოპოვება-გაყიდვის ეკონომიკური აქტივობის მოცულობა შეიძლება შეფასდეს, როგორც 120-150 მლნ ლარი წელიწადში. 2014 წელს საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ მოხმარებული შეშის ენერგეტიკული ღირებულება წარმოადგენს 632.7 მლნ მ³ ბუნებრივი გაზის ეკვივალენტს. შედარებისათვის, იმავე წელს საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარებამ შეადგინა 597.6 მლნ მ³.

სათბობი რესურსის მიზნით ტყის ჭარბი ექსპლუატაცია ტყის მასივების განადგურებას იწვევს. უკვე სახეზეა სათბობი შეშის მწვავე დეფიციტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ შეშა, რომელიც ქვეყნის მნიშვნელობით მეორე ენერგეტიკული რესურსია, ცხადად არ შედის ენერგეტიკული სამინისტროს კომპეტენციაში. ამ უკანასკნელს ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონით ევალება მხოლოდ ხელშეწყობა ბიომასის ენერგეტიკული გამოყენებისა, თუმცა ამისთვის არ აქვს განსაზღვრული რაიმე მექანიზმები და პროცედურები. მეტიც, ენერგეტიკული დამოკიდებულების პარამეტრებზე საუბრისას ენერგეტიკის სამინისტრო საერთოდ უგულებელყოფს შეშას, როგორც ენერგეტიკულ რესურსს ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზში.

საფრთხეები

- მოსალოდნელია, რომ სწრაფი და ეფექტური სახელმწიფო ღონისძიებების გატარების გარეშე არსებული კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება, კერძოდ:
 - o გაგრძელდება ტყეების დარჩენილი გამეჩხერებული კორომების უკანონო ჭრა ან წარმოიქმნება დამაბულობა მოსახლეობასა და სატყეო სააგენტოს შორის იმ შემთხვევებში, თუ ის ეცდება, გაამკაცროს შეშის ჭრაზე კონტროლი;
 - o ტყეების დეგრადაცია გამოიწვევს მომეტებულ მეწყრებს, წყალმოვარდნებს, ეროზიას და ა.შ. ეს არის პირდაპირი ეკონომიკური ზიანი, რომელსაც დათვლა ესაჭიროება
 - o მოხდება ჯერ ზამთარში სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებისკენ და, საბოლოოდ, რეგიონების მოსახლეობისგან დაცლა და სასოფლო-სამეურნეო

სავარგულებს მოწყვეტა, რაც ამ მოსახლეობას და ქვეყანას ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის

- o გაიზრდება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მისი მოწყვლადი ნაწილის, სათბობი რესურსის გარეშე დარჩენის რისკი, რაც სიცოცხლის საფრთხის შემცველია. რეგიონებში წარმოიშვება ენერგეტიკული სიღარიბე (energy poverty), რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს რეგიონების განვითარებას.

პრობლემების შემდგომი გამწვავება მოსალოდნელია ძირითადად არაგაზიფიცირებულ რაიონებში, თუმცა იგივე პრობლემები შეიძლება გაჩნდეს გაზით უზრუნველყოფილ რეგიონებშიც.

დაგეგმილი სახელმწიფო ღონისძიებები

შემის გამოყენების პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, დაიგეგმა მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მომზადება. აღნიშნული ინიციატივა საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების იმპლემენტაციის საგზაო რუკით განისაზღვრა.

კერძოდ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების 233-ე მუხლის აღსრულების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, 2016 წლის ბოლომდე შეიმუშაოს შემის მოხმარების ეროვნული პროგრამა, რომელიც 2017 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება.

პროგრამის მომზადებას ახორციელებს CENN, IUCN-თან ერთად, ENPI FLEG 2-ის ფარგლებში.

სათბობი შემით მოსახლეობის მომარაგების შეზღუდვას უკავშირდება ბიომრავალფეროვნების მიმართულებით აღებული ვალდებულებებიც, რაც შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3-6 წლის განმავლობაში ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების დებულებების უმეტესი წილის განხორციელებას გულისხმობს. ამისათვის სახელმწიფომ უნდა გამოყოს ფართობები ზურმუხტის ქსელისათვის და მოახდინოს სატყეო ფონდის იმ ტერიტორიების კონსერვაცია, სადაც ტყის ეკოსისტემები პირველადი სახითაა შემორჩენილი. შესაბამისად, კიდევ უფრო შემცირდება ტყის ფართობი, სადაც არსებული მერქნული რესურსი ჭრის, მათ შორის, საშეშე ტყეკაფების გამოყოფის საშუალებას იძლევა.

ასოცირების შეთანხმების საგზაო რუკა ასევე მოიცავს ქვეყნისთვის მისაღები შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას მცირეემისიანი შენობებისთვის (ენერჯის დაზოგვის ღონისძიებები), რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს არსებული მწვავე დეფიციტის აღმოფხვრაზე.

ასოციაციების შეთანხმების 304-ე მუხლი გულისხმობს გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების შემუშავებას, რომელმაც უნდა მოიცვას ეროვნული და სექტორული სტრატეგიული მიმართულებები და ემსახუროს გარემოს საკითხების ჩართვას სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში.

პოლიტიკის ალტერნატივები

შესამუშავებელია ერთიანი სახელმწიფო მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი და ენერგეტიკული რესურსის ჩანაცვლების და მისი ეფექტური გამოყენებისათვის, რომელიც უნდა გამოიხატოს ბიომასის მდგრადი გამოყენების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

შემის დეფიციტის აღმოფხვრა კომპლექსური პრობლემაა, რომლის მოგვარებაც შემდეგ სფეროებს უნდა მოიცავდეს:


- სატყეო პოლიტიკა;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა;
- ენერგეტიკული პოლიტიკა და სტრატეგია;
- სოციალური პოლიტიკა და რეგიონული განვითარება.

პრობლემის გადაწყვეტას ასევე ესაჭიროება ნარჩენების მართვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებთან თანამშრომლობის პროგრამა. ასევე, საჭიროა, ჩამოყალიბდეს განახლებადი ენერჯის გამოყენების ტექნოლოგიებზე მომუშავე ბიზნესების ხელშემწყობი გარემო.

დიაგრამა (ნახ. 1) აჩვენებს ტყის გადამეტებულ ჭრასთან და შემის დეფიციტთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედებას.⁴

დიაგრამა ნათლად აჩვენებს სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთკავშირს და მიუთითებს იმაზე, რომ საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს სხვადასხვა უწყების და სამთავრობო სტრუქტურის ურთიერთთანამშრომლობას და კოორდინირებულ ქმედებას.

⁴ გამოყენებულია VENSIM PLE სისტემური დინამიკის მოდელირების პროგრამა.



ნახ. 1 დიაგრამა სისტემური შეშის პრობლემის ანალიზისთვის

არსებობს ორი ძირითადი მიმართულება და თითოეულს შეუძლია, ნაწილობრივ მაინც შეამციროს წარმოშობილი პრობლემების სიმწვავე:

1. შეშაზე მოთხოვნილების შემცირება ეფექტურობის გაზრდით

- ეფექტური შეშის ღუმელების დანერგვა - რამაც შეიძლება 40-50%-ით შეამციროს მოთხოვნილება თითოეულ ოჯახში. ამ ღონისძიების გატარება შეიძლება მოხდეს ეტაპობრივად, რისთვისაც სასურველია განვითარდეს ადგილობრივი წარმოება;
- შენობების დათბუნება და სითბოს დაზოგვის მარტივი ღონისძიებების გამოყენება შედარებით ადვილი და ეფექტური ღონისძიებაა;
- მომხმარებლების ინფორმირება შეშის დროული დამზადების შესახებ და სველის ნაცვლად მშრალი შეშის გამოყენება. ამ ღონისძიებას შეიძლება ახლდეს არსებული არაეფექტური ღუმელების მარტივი მოდიფიცირება ჰაერის მიწოდების კონტროლის დამატებით.

2. შემის ჩანაცვლება ალტერნატიული სათბობით

- შემის ალტერნატივად, უპირველეს ყოვლისა, განიხილება ბუნებრივი გაზი, რომლის მოხმარებაც უფრო კომფორტული და ეკოლოგიურია, მაგრამ ამავე დროს უფრო ძვირია და ქვეყნის მასშტაბით იწვევს ეკონომიკური აქტივობის შემცირებას და სხვა ქვეყნებზე ეკონომიკური და ენერგეტიკული დამოკიდებულების ზრდას;
- გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით WEG-ის მიერ ჩატარებული ნარჩენი ბიომასის შესწავლა⁵ აჩვენებს, რომ როგორც სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის გადამამუშავების, ისე სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძლება ჩართული იქნას ენერგომომარაგების ამოცანის გადაწყვეტის საქმეში, მათ შორის: ტყეში უკანონო და კანონიერი ჭრის შედეგად დაგროვილი ნარჩენები, ვაზის და ხეხილის გასხვლით მიღებული ნარჩენები, ტყის სანიტარული ღონისძიებების შედეგად მისაღები ბიომასა და სხვ. აღნიშნული ბიომასა შეიძლება გამოყენებული იქნას თანამედროვე მყარი ბიოსაწვავის - პელეტების, ბრიკეტების ან ნაფოტების მისაღებად, რაც ნაწილობრივ შეამცირებს მოთხოვნას შემაზე;
- შემის ალტერნატივად ასევე შეიძლება ქვანახშირის განხილვაც იმ შემთხვევაში, თუკი მისი ხარისხი ევროკავშირის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

იმისთვის, რომ დაძლეული იქნას საქართველოში შემის მოხმარებასთან დაკავშირებული კრიზისი და მოწესრიგდეს ბიომასის ენერგეტიკული გამოყენება, აუცილებელია ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა სამინისტროების და უწყებების ძალისხმევას და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.

⁵ http://biomass.ge/sites/default/files/biomass_potential_study.pdf - თეორიული შეფასება
http://biomass.ge/sites/default/files/final_report-weg_1.pdf - საველე ანგარიში

შესაძლო სახელმწიფო ღონისძიებები

შეშის დეფიციტის და ტყის განადგურების პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს რამდენიმე ცენტრალური უწყების და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებულ ქმედებას. უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. გამკაცრდეს სატყეო პოლიტიკა, მოხდეს შეშის ჭრის მკაცრი ორგანიზება და პარალელურად ახალი მიდგომების შეთავაზება:

- შესაძლებელია, სახელმწიფომ თვითონ მოახდინოს შეშის ჭრის ორგანიზება და დაუცველი მოსახლეობისთვის შეთავაზება;
- შესაძლებელია ტყის განახლების და სანიტარული ჭრის შედეგად ბიომასის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღება. ამიტომ სატყეო სააგენტომ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს ქვეტყის გაწმენდის და ტყეების გამომხშირვის ღონისძიებები;
- ერთ-ერთ ალტერნატივად შეიძლება განხილული იყოს ენერგეტიკული პლანტაციები. სწრაფად მზარდი ხეების გამოყენება შესაძლებელია როგორც ბრიკეტების წარმოებისთვის, ისე შეშად.

2. მოხდეს ალტერნატიული სათბობის გამოყენების ხელშეწყობა:

- ხელი შეეწყოს მყარი ბიოსაწვავის დამზადების ტექნოლოგიების შემოტანას. ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება შეიძლება იყოს მობილური დამაქუცმაცებელი დანადგარების (შრედერების) დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ნაფოტების წარმოებას და შემდეგ გამოყენებას.
- გადაიდგას ბიზნესის ხელშეწყობის და ინოვაციური განვითარების ნაბიჯები, მათ შორის ინფორმაციული უზრუნველყოფის, საგადასახადო შეღავათების და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები.
- მოხდეს ლოჯისტიკური ამოცანების გადაწყვეტა ნარჩენი ბიომასის მართვის და ტრანსპორტირების ღონისძიებების ეფექტურად წარმართვისათვის.

3. ხელი შეეწყოს ბუნებრივი გაზის მოხმარებას:

გაზის მოხმარების ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებით, რომელთა შორისაა:

- იაფი სესხები საოჯახო მეურნეობებში გაზის გამათბობლების, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და თბოიზოლაციისათვის;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გაზის მოხმარების მიზნობრივი სუბსიდირება.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაზის მოხმარების ზრდა უარყოფითად აისახება ქვეყნის ენერგეტიკულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

დასკვნები

სატყეო რესურსების შეშად არამდგრადად გამოყენებამ წარმოშვა მწვავე ეკოლოგიური, და სოციალური პრობლემების ციკლი, რომელიც სახელმწიფოს ენერგიული ჩარევის გარეშე კიდევ უფრო გამწვავდება. ამოცანა კომპლექსურია და კომპლექსურ სისტემურ გადაწყვეტას საჭიროებს - არც ერთი ინდივიდუალური ღონისძიება დამოუკიდებლად არ იქნება საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ყველაზე მწვავე ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისები, უნდა შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამთავრობო უწყებებს და ასევე გამოიყენებს დონორების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრობლემის საბოლოო მოგვარებას შეიძლება მნიშვნელოვანი დრო დასჭირდეს.

რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში გაიწეროს კრიზისის დაძლევის მოკლე და საშუალოვადიანი გეგმები;
2. პროგრამა დამტკიცდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ფართო საზოგადოების დონეზე განხორციელებული განხილვების საფუძველზე;
3. მოწვეული იქნას კონფერენცია სამთავრობო-არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით შემის და ტყის კრიზისის მოსაგვარებლად;
4. 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესში მოხდეს საჭირო რესურსების მობილიზება საერთაშორისო და სახელმწიფო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით მოკლე და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად;
5. ეკონომიკური კუთხით შეფასდეს ტყის განადგურების შედეგები;
6. ორგანიზებულად მოხდეს ტყიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანა და მოსახლეობისათვის განაწილება ხელმისაწვდომ ფასად;
7. განსაკუთრებით მოწყვლადი რეგიონებისათვის შემუშავდეს საგანგებო პროგრამები ენერგეტიკული უზრუნველყოფის ღონისძიებების გასატარებლად. მოხდეს დასახლებებში შენობების დათბუნების პროგრამის შემუშავება ეკონომიკურად გამართლებული ღონისძიებების გამოყენებით
8. ჩამოყალიბდეს საქართველოში ბიომასის გამოყენების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის ნაწილი გახდება;
9. ბიზნესის ხელშეწყობის არსებულ პროგრამებში „აწარმოე საქართველოში“, „სტარტ აპ საქართველო“, ასევე ინიციატივების ხელშეწყობის სხვა პროგრამებსა და

გრანტებში, ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვროს განახლებადი ენერჯის განვითარებაზე და ტექნოლოგიებზე მომუშავე ბიზნესების სტიმულირება;

10. ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმაში და „მერების შეთანხმების“ ფარგლებში მომზადებული მდგრადი განვითარების გეგმებში გაძლიერდეს შეშის მოხმარების შემცირების ღონისძიებები;
11. ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგეტიკული სტრატეგიისა და ეროვნული განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სრულფასოვნად გაითვალისწინოს შეშა, როგორც სიდიდით მეორე ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსი;
12. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს:
 - შეშის მოპოვების ორგანიზება და უკანონო ჭრაზე კონტროლის გამკაცრება, რომლის განხორციელების ეფექტური მექანიზმი შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის აღება ოპტიმალური საშემე რესურსის მდგრად მოპოვებაზე, დამზადებასა და გაყიდვაზე;
 - ტყიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანის და სათბობის ნედლეულად გამოყენების ხელშეწყობა;
 - დეგრადირებულ ტყეებში ქვეტყის მოშორებისა და გამოხშირვის სამუშაოების გააქტიურება ტყის განახლებისა და ამ პროცესში ნარჩენი ბიომასის ენერგეტიკული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია:

ჩამოყალიბდეს და ამუშავდეს სამთავრობო საკოორდინაციო საბჭო შესაბამისი სამინისტროების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მონაწილეობით, რაც ჩვენი მთავარი რეკომენდაციაა.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge

ვებგვერდი: eap-csf.ge